



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №25

2014 წლის 30 მაისი

ქ. დუშეთი

სპეცავტომანქანის (ავტოკალათის) გამარტივებული წესით შესყიდვაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სპეცავტომანქანის ე.წ. „კალათის“ შესყიდვა, რაც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად უნდა განხორციელდეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მწელს სამჯერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, რომლებიც არ შედგა.

გამომდინარე იქიდან, რომ აუცილებელი სამუშაოების შესასრულებლად ხშირად ხდება ერთჯერადად სპეც მანქანის ე.წ. „კალათის“ დაქირავება, რაც მეტ ხარჯებთანაა დაკავშირებული და ამჟამადაც შესასრულებელია რიგი სამუშაოები, შექმნილ ვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფასებს როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს ზემოაღნიშნული შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელებას.

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის “შ” ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიეცეს თანხმობა მასზედ, რომ თვითმმართველი ერთეულის სახელით გამარტივებული შესყიდვით აწარმოოს სპეცავტომანქანის ე.წ. „კალათის“ შესყიდვა.

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე

ცარო სამაგლიშვილი

